

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მერაბ ჩუხუა

ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში

10. 02. 09 — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

მერაბ ჩუხუა

ბგერათშესატყვისობათა სისტემა ქართველურ-ნახურ ენებში

10. 02. 09. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში.

ოფიციალური ოპონენტები: **კოტე ჰრელაშვილი** ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თედო უთურგაიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვაჟა შენგელია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა გაიმართება 2006 წლის 27 ივნისს, 12 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P 10.09. №8 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0108, თბილისი, პ. ინგოროყვას ქ. №8 (სხდომათა დარბაზი, I სართული).

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 25 მაისს

სადისერტაციო საბჭოს

სწავლული მდივანი *თ. ვაჭაყაძე*

ფილოლ. მეცნ. დოქტორი

პროფესორი **თ. ვაშაკიძე**

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა. იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ჯგუფებს შორის არსებული რეგულარული და კანონ-ზომიერი ბგერათშესატყვისობათა გამოვლენა ლინგვისტური კავკასიოლოგიის უმთავრეს ამოცანათაგანია. ქართველური და ნახური ენების ფონოლოგიური სისტემებისა და საერთო ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა სტრუქტურული მოდელის რეკონსტრუქცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე მათი ფუძე-ენათა დონეზე ისტორიულ-შედარებითი შესწავლა დიდი ხანია გადაუჭრელ პრობლემად დგას თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე. ცალკეულ ჯგუფებს (*resp.* საერთო-ქართველურსა და საერთონახურ ენებს) შორის ბგერათშესატყვისობათა გამოვლენა, ასევე ამოსავალ ფონემათა სისტემური ცვალების ისტორიის დადგენა, უაღრესად აქტუალურია ახლა, როდესაც აქტიურად წარმოიჩნდა ისტორიულ-შედარებითი ხასიათის შემაჯამებელი ნაშრომების (ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის, შედარებითი და ეტიმოლოგიური ლექსიკონების...) დამუშავების აუცილებლობა: ცალკეულ იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის შედარებითი გრამატიკების შექმნა დროის მოთხოვნაა.

ერთი ჯგუფის ენათა ფუძეენური ფონოლოგიური სისტემისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის ფუძეთა რეკონსტრუქცია და გენეზისურად მონათესავე მეორე ჯგუფის ენათა ფუძე-ენის ანალოგიურ მონაცემებთან ერთად მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გადაუჭარბებელი მნიშვნელობისაა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის, ენობრივი ისტორიისა და უნივერსალიების თვალსაზრისით ფასეული შედეგების მოსაპოვებლად.

თად მათი ისტორიულ-შედარებითი ანალიზი გადაუჭარბებელი მნიშვნელობისაა ენათა გენეალოგიური კლასიფიკაციის, ენობრივი ისტორიისა და უნივერსალიების თვალსაზრისით ფასეული შედეგების მოსაპოვებლად.

კვლევის მიზანი და ობიექტი. ჩატარებული კვლევა-ძიება მიზნად ისახავდა საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის საკვანძო საკითხების შესწავლას. საკვლევ ენათა მდიდარ მონაცემებზე დაყრდნობით და არსებული მოსაზრებების, აქამდე მოპოვებული კვლევის შედეგების მაქსიმალურად გათვალისწინებით უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ჯერ ამოსავალ ფონოლოგიურ სისტემათა ფუძე-ენისეული მოდელებისა და მდგომარეობის რეკონსტრუქცია, ხოლო შემდგომ ეტაპზე ურთიერთშედარება, რათა გამოვლენილიყო ქართველურ-ნახური ბგერათმესატყვისობების სისტემა, რაც უტყუარი საბუთია ამ ენებს შორის არსებული ნათესაობრივი დამოკიდებულების დასამტკიცებლად. დასახელებული ენების ფონოლოგიურ სისტემათა თვალსაჩინო მსგავსების გარდა, კვლევისას ჩვენს ყურადღებას მიიქცევდა ცალკეულ ჯგუფთა ფონემატურ სტრუქტურებს შორის ფიქსირებული სხვაობები. ისტორიულად დადასტურებულ ენებში უნდა მოგვეხდინა მწყობრი, მაგრამ განსხვავებული ფონოლოგიური სისტემების გაერთმნიშვნელიანება, საერთო არქეტიპზე დაყვანა. გარდა ამისა, უნდა დაგვედგინა არაერთგვაროვანი და არაერთდროული სპონტანურ-სპორადული ფონეტიკური

პროცესების რელატიური ქრონოლოგია, რასაც ეფუძნება გამოვლენილი ბგერათშესატყვისობები.

სპეციალურად დასახული მიზნის მისაღწევად დამუშავდა ოთხასგვერდიანი ქართველურ-ნახური შედარებითი ლექსიკონი, რომელშიც ათასზე მეტი საერთო წარმომავლობის ლექსიკური ერთეული შევიდა. საპაექროდ წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება დასახელებულ შედარებით ლექსიკონს, რომლის დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა ავტორის მიერ ადგილზე მოპოვებული ენობრივი მასალა, ორივე ქვეჯგუფის ენათათვის

კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. იბერიულ ადრევე გამოქვეყნებული ტექსტები, ორენოვანი, შეპირისპირებითი, ეტიმოლოგიური და დარგობრივი ლექსიკონები. მასში, საკვლევი ობიექტიდან გამომდინარე, ძირითადად გამოყენებულია ქართველურ-ნახურ ენათა მასალა. საჭიროების შემთხვევაში დამოწმებულია სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემებიც. კავკასიური ენათმეცნიერების არსებობის მანძილზე პირველად იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული და სათანადოდ დასაბუთებული რეგულარულ-კანონზომიერი ბგერათშესატყვისობები ქართველურსა და ნახურ ენებს შორის. გამოვლენილ ფონემათკორესპონდენციებსა და ბგერათცვლილებებს სისტემური ხასიათი აქვს, რაც სარწმუნოს ხდის კვლევით მიღწეულ შედეგებს. გამოვლენილი ბგერათშესატყვისობების დამაჯერებლობა ცხადდება ერთი მორფემის ფარგლებში ხმოვნური და კონსონანტური ფონემათმიმართების სინქრონულობის ხარჯზე. გარდა ამისა, ცალმორ-

ფემიან ბეგათშესატყვისობათა ჩვენება მეორდება ერთზე მეტხმოვნიან ძირებში, მასვე მიჰყვება ფონემათკორესპონდენციები თანხმოვანკომპლექსთა დონეზე. ნაშრომში, ასევე, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით პირველად იქნა დადგენილი ნახურ-ქართველურ ენათა მთელი ფონოლოგიური სისტემის ამოსავალი ტიპი. ახლებურად მოხდა დასახელებულ ენათა ფონოლოგიური სისტემების ანალიზი, გენეზისისა და ისტორიული განვითარების მიმართულებათა განხილვა. აღდგენილია ამოსავალ ფონემათა ლოკალური რიგები და სათანადო ენობრივი მონაცემების საფუძველზე დასაბუთებულია ზოგ სპეციფიკურ ფონემათა მეორეული წარმომავლობა.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ძირის სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბგერათშესატყვისობის მეთოდოლოგიის სრულყოფის მიზნით, შემოტანილია საურთიერთო მეტათეზისის ცნება, რომლის გამოყენებით საცნაური ხდება ე. წ. შებრუნებული წყობის ფუძეთა ისტორია. კერძოდ, გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართ. **ჩანთა** → **თანჩა** ტიპის გარდაქმნები სავარაუდოა საერთონახური ფუძე-ენისათვის, რასაც მხარს უჭერს დაღესტნურ ენათა სათანადო ძირთა ჩვენება, შდრ. ს.-ქართვ. *წუედ- „წვეთი, ცვარი“ : ს.-ნახ. *დარწ- ← *წარდ- — „მცირე წვიმა“ : დაღ. ენ.: ხუნდ. წად, ახვ. წარი ← *წადი „წვიმა“.., თაბ. წად-ალ „წვეთი“, აღ. წარ ← *წად, კრიწ. წადი „სითხე“. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საერთო ლექსიკაში რეალურად გამოვლენილი საურთიერთო მეტათეზისის შემთხვევათა გათვალისწინე-

ბით გამოჩნდება დიდი პრესპექტივა ეტიმოლოგიური კვლევისა.

საერთოქართველური და საერთონახური ფონოლოგიური სისტემების შედარებითი შესწავლის გზით პირველად არის წარმოდგენილი **ამოსავალი ენის** ფონოლოგიური სისტემა. ამ შემთხვევაში **ამოსავალი ენის** ცნება უტოლდება **წინარე-ენას** ანუ იმ ენას, საიდანაც უშუალოდ მომდინარეობენ საერთონახური და საერთოქართველური ფუძე-ენები. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, იმის თაობაზე, რომ დასახელებულ ფუძე-ენათა წინაპარენაში (resp. წინარე ენაში) **სისინა** და **შიშინა** სიბილანტების გვერდით ფუნქციონირებდა შუასიბილანტური რიგის **სისინ-შიშინა** თანხმოვნები, რომლებიც საერთოქართველურში გაშიშინდნენ — **ძ, ც, წ, ზ, ს**, → **ჭ ჩ ჭ ყ შ**, ხოლო საერთონახურში მათგან მივიღეთ როგორც **შიშინა**, ისე **სისინა** სიბილანტები — **ძ, ც, წ**, → **ჭ/ძ, ჩ/ც, ჭ/წ**.

ქართველურ-ნახურ ენათა კვლევის ისტორიაში ბგერათშესატყვისობის კანონზომიერებებზე დამყარებით პირველად იქნა რეკონსტრუირებული საერთოქართველური ენის ფარინგალური რიგის აფრიკატებისა და სპირანტების სრული სერია — ***ღ ჳ ყ ზ ჰ ჰა**. აღმოჩნდა, რომ წინარე-ენისთვის მკვიდრი იყო **თა-თა, ც-ცა, ჩ-ჩა** ანუ ნორმალური ~ ინსტენსიური ფონოლოგიური კორელაცია. გარდა ამისა ნაშრომში ახლებურად არის გადაჭრილი ზოგი საკითხი, რომლებიც რელატიური ქრონოლოგიისა და ძირ-ფუძეთა ჩამოყალიბების თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას...

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში წარმოდგენილი ლექსიკურ-გრამატიკული მასალა და მისი მეცნიერული ანალიზი, რომელიც ეფუძნება თანამედროვე იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისა და კომპარატივისტიკის მიღწევებს ფასეული უნდა იყოს ქართველურ-ნახური ენებისა და ხალხების ისტორიის აქტუალური საკითხების გამოწვლილვით შესასწავლად. მონოგრაფიას დართული ქართველურ-ნახური შედარებითი ლექსიკონი ამავე დროს ნახოლოგიაში პირველი, მეტ-ნაკლებად სრული, ეტიმოლოგიური ლექსიკონია; რომელშიც განხილული მრავალი ტერმინის ეტიმოლოგიის დადგენა ღირებულია კულტურის (*resp.* ცივილიზაციის) ისტორიის თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, საკვლევი ფუძე-ენებისა და მათი დიფერენციაციის საფუძველზე წარმოქმნილი ახალი ენობრივი ერთეულების ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესები და ბგერათშესატყვისობანი უდავოდ მნიშვნელოვანია როგორც იბერიულ-კავკასიური ენების გენეალოგიური კლასიფიკაციის, ისე ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც.

მიღებული კვლევის შედეგები გამოადგებათ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების პრობლემატიკით დაინტერესებულ პირთ, პროტობერიული კულტურის ისტორიის სპეციალისტებს, აგრეთვე პედაგოგებს — იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი ფონეტიკისა და შედარებითი ლექსიკის, ენის ისტორიის სათანადო საკითხების სწავლებისას.

კვლევის მეთოდები. საკვლევი ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მეთოდი ისტორიულ-შედარებითია; აღწერითი და ტიპოლოგიური მეთოდების გვერდით ფონოტაქტიკური წესების ჩამოსაყალიბებლად გამოყენებულია დიასისტემური მეთოდიც.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომი შესრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში. კვლევისას წარმოდგენილი დებულებები და მიღებული შედეგები მოხსენდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რესპუბლიკურ რეგიონულ და საერთაშორისო სამეცნიერო სესიებს, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს; მათი ერთი ნაწილი გამოქვეყნდა მონოგრაფიის, სტატიებისა და მასალების სახით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შეიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 290 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ოთხი ნაწილის, რვა თავისა და ძირითადი დასკვნებისაგან. თითოეული თავი დაყოფილია პარაგრაფებად და წამძღვარებული აქვს შესავალი.

ნაშრომს წინ უძღვის სარჩევი და თან დაერთვის გამოყენებული და დამოწმებული ლიტერატურის სია.

ნაშრომის მოკლე შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის „შესავალში“ მოკლედ არის წარმოდგენილი ავტორისეული თვალსაზრისი შესასწავლი საკითხების შესახებ. საკვლევ ენათა იმანენტური ბუნების მაქსიმალურად გათვალისწინებით განხილულია ის მეთოდები და ხერხები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი ხდება მონათესავე ენებს შორის ბგერათშესატყვისობათა სისტემის დადგენა, ამოსავალი ფონოლოგიური სისტემისა და ძირ-ფუძეთა არქეტიპების რეკონსტრუქცია.

ავტორისეული სამეცნიერო კვლევის უშუალო და კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ორი ჯგუფის — ქართველურისა და ნახურის — ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა ისტორიულ-გენეზისური თვალსაზრისით. პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა დასახელებულ ენებს შორის რეგულარული და კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების გამოვლენა. თუ ქართველური და ნახური ენები ერთმანეთის მიმართ ნათესაობრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, აქ უნდა ჩანდეს რეგულარული და კანონზომიერი ფონემათმომართებები. ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ მონათესავე ენები წარმოშობით ერთი ენის კილოებია, ხოლო ბგერითი ცვლილებები ყველა ენაში ნამდვილად არის რეგულარული.

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისათვის მეტად ღირებულია ქართველურ და ნახურ ენებს შორის გენეტიკური ურთიერთმიმართების დადგენა. ქართველურ ენათა ფუძენური წარმოშობის ლექსიკურ-გრამატიკული ინვერტარი-

სათვის სათანადო ნახური შესატყვისობის დაძებნით ჩვენ გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფების ისტორიულ-გენეზისურად საერთო მონაცემებზე გასასვლელად. ნახურ ენებს ეკისრებათ გარდამავალი საფეხურის ფუნქცია სათანადო დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენათა საერთო მასალასთან დასაახლოვებლად. რადგან ნახური ჯგუფის ენების ნათესაურ-გენეზისური დამოკიდებულება სხვა კავკასიურ ენებთან აღიარებული ფაქტია.

წინამდებარე ნაშრომის შესავალ ნაწილში ასევე წარმოდგენილია საკვლევი პრობლემის მოკლე ისტორია და დასახელებულ ენათა შესწავლის დღევანდელი მდგომარეობა. აღინიშნა, რომ ცალკეული ჯგუფის ენების კვლევა-ძიების მდიდარი ტრადიციების მიუხედავად, მეტად გაძნელებულია ჯგუფებსშორისი მიმართების დადგენა და ეს უბანი კავკასიოლოგიის ნაკლებად შესწავლილ ობიექტად გამოჩნდება. აქვე საუბარია იმ სიძნელეების შესახებ, რომლებიც საანალიზო ენების ისტორიულ-შედარებითი გრამატიკებისა და ეტიმოლოგიური ლექსიკონების არქონით არის გამოწვეული; ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად სპეციალურად დამუშავდა ქართველურ-ნახური შედარებითი ლექსიკონი. ეს უკანასკნელი შეიცავს, საერთო ლექსიკური ფონდის გარდა, მორფოლოგიურ ინვენტარს ანუ ფორმანტთა სისტემას, ვინაიდან ბგერითი შესატყვისობები ფორმანტებშიც რელევანტურია; ის აისახება ენობრივი იერარქიის ყოველ საფეხურში, როგორცაა: ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგიური ინვენტარი, ლექსიკა.

პირველი ნაწილი

ვოკალური სისტემა

I თავი

§1. ქართველური და ნახური ენების ხმოვანთა სისტემის ამოსავალი ტიპი. საერთოქართველური ფუძე-ენური მდგომარეობა ვოკალური სისტემის სიმარტივით გამოირჩევა. აქ რეკონსტრუირდება ხუთი მარტივი **ა ე ი ო უ** ხმოვანი. საერთოქართველური სურათი თითქმის უცვლელად არის შენარჩუნებული ძველ ქართულ სამწერლო ენაში. ფუძეენური მარტივი სისტემის შემდგომი გართულება ნათლად ჩანს სვანურის მაგალითზე, სადაც ხუთი **ა ე ი ო უ** ხმოვნის გვერდით დასტურდება შეზღუდული დისტრიბუციის მქონე შემდეგი ხმოვნები: **ა ე ი ო უ გ გ̄ ა ო ო̄ ა̄ ო̄ ო̄.** ზანურის ვითარებაც ქართულისას ემთხვევა, თუმცა მეგრული დიალექტის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში ირაციონალური **გ** ხმოვანიც მკვიდრადა ზის.

საერთოქართველური ფუძე-ენისათვის მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალი იყო. მისთვის არ ყოფილა დამახასიათებელი ხმოვანთა კომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში.

თანამედროვე ნახურ ენათა ვოკალიზში პარადიგმატული ანალიზისას შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ექვსი ნიშნის მიხედვით: 1. ლოკალური რიგი, 2. ენის აწეულობა, 3. ბაგისმიერი — არაბაგისმიერი, 4. გრძელი — არაგრძელი, 5. ნაზალური — არანაზალური, 6. პალატალიზებული — არაპალატალიზებული. აქედან უკანასკნე-

ლი სამი ნიშანი შექმნილი ჩანს გვიან პერიოდში; მას შემდგომ, რაც საბოლოოდ განხორციელდა ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუპერაცია. კერძოდ, ლაბიალური **ჟ** სეგმენტის გაუჩინარებამ კვალი დატოვა წინამავალი ან მომდევნო ხმოვნის სიგრძის სახით — $\text{ჟ}V \rightarrow \bar{V}$, $V\text{ჟ} \rightarrow \bar{V}$, შდრ. ინგ. გ**უჟ**, იჩქ. გ**ჟ** ← *გ**უჟ** „ბოცვი, გორაკი“. ვაინახურ ენებში **ჟი**, **ჟე** თანმიმდევრობათა შერწყმით მივიღეთ **ჟ** **ჸ** პალატალიზებული ალოფონები, შდრ. ბაცბ. ტვი^ნ : ვაინახ. ტ**ჟ** || ტუ^ნ „ცვარი“, ქართ. შვი^ნდ-ი → ვაინახ. შჟ^ნდ „id“... ნაზალიზებულ ხმოვანთა სისტემა ჩამოყალიბდა ისტორიულად ფიქსირებულ ნახურ ენებში აუსლაუტური **ნ** ფონემის ნაზალური არტიკულაციის წინამავალ ხმოვანზე გადასვლით, რასაც ამტკიცებს ნასესხებ სიტყვათა ჩვენება; შდრ. ქართ. ციკ**ან**- → ბაცბ. ციკ**ან**^ნ „ციკანი“, მაგრამ ციკ**ან**-ებს „ციკანს“.

ნახური ენების ხმოვანთა სისტემის სინქრონიული მრავალფეროვნების მიუხედავად, ამოსავალი ვითარება საერთო-ქართველურისებური უნდა ყოფილიყო. ფუძენახურისთვისაც რეკონსტრუირდება **ა ე ი ო უ** სადა ხმოვანი. საერთონახურში მარტივ ხმოვანთა დისტრიბუცია თავისუფალი იყო; აქ ხმოვანთკომპლექსები ერთი მორფემის ფარგლებში აკრძალულ თანმიმდევრობათა რიცხვს განეკუთვნებოდა. ნახური დიალექტებიდან ფუძენური ვითარება, შედარებით უკეთ, შემოგვინახა ბაცბურსა და ჰებერლოურში, სადაც ისტორიულ-შედარებითი ანალიზითა და შინაგანი რეკონსტრუქციის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ხუთი **ა ე ი ო უ** სადა ხმოვნის სეგმენტაცია.

ხმოვანთა შესატყვისობანი ქართველურ-ნახურ ენებში

ერთი მორფემის ფარგლებში, კონსონანტური რიგის ბგერათშესატყვისობათა პარალელურად, გამოვლენილია ვოკალური მიმართების სისტემურობაც. ანუ თუ არსებობს თანხმოვანშესატყვისობათა სისტემა, იქვე იმავედროულად უნდა ვლინდებოდეს კანონზომიერი და სისტემური ხმოვანკორესპონდენციებიც. კანონზომიერი და რეგულარული ხასიათის ხმოვნური შესატყვისობები ვლინდება როგორც საერთოქართველურსა და საერთონახურ ენებს შორის, ისე ცალკეული ჯგუფის შიგნით წევრ ენებს შორისაც.

§2. ამოსავალი *ა ხმოვნის შესატყვისობანი. წინარე-ენიდან მომდინარე *ა ვოკალის შესატყვისობები ქართველურ-ნახურ ენებში არაერთგვაროვანია. აქ დასტურდება როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები. გამოიყოფა შემდეგი სახეობის ხმოვნური მიმართებები: 1. ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ა (ს.-ქართვ. *მასე- „ბადე; ობობას ქსელი“ : ს.-ნახ. *მაშე- „ოჯახში ნაქსოვი მაუდი; ობობას ქსელი“); 2. ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ო (ს.-ქართვ. *ტალ- „კაჟი; ძალიან მაგარი ქვა“ : ს.-ნახ. *ტოლ- „ქვა“); 3. ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე (ს.-ქართვ. *ვარ- „ხარი“ : ს.-ნახ. *ჰველ- „ძროხა“); 4. ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ი (ს.-ქართვ. *ასთ- „ათი“ : ს.-ნახ. *ითა- „ათი“).

§3. ამოსავალი *ე ხმოვნის შესატყვისობანი. ნახურ-ქართველურ ენებში, ისევე როგორც *ა ხმოვნის შე-

მთხვევაში, ამოსავალი ე ვოკალის შესატყვისობები არა-ერთგვაროვანია. გამოჩნდება როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული კორესპონდენციები. გამოვყოფთ შემდეგი სახის ხმოვნურ მიმართებებს: 1. ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ე (ს.-ქართვ. *ბერკ- „ფეხი“ : ს.-ნახ. *ბერკ- „ფლოქვი“); 2. ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ა (ს.-ქართვ. *ნესტ- „ნესვი“ : ს.-ნახ. *ნარს- „კიტრი“); 3. ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ი (ს.-ქართვ. *ქეც-ო „ქერცლი, ფარფლი“ : ს.-ნახ. *გიჩ-ო „თმა საფეთქელზე“).

§4 ამოსავალი *ი ხმოვნის შესატყვისობანი. წინარე-ენიდან მომდინარე *ი ხმოვანი არაერთგვაროვან რეფლექსებს გვიჩვენებს ქართველურ-ნახურ ენებში. გამოჩნდება შემდეგი ტიპის ხმოვანმიმართებები: 1. ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ი (ს.-ქართვ. *წირპ-ლ- „წირპლი“ : ს.-ნახ. *ჰიბალ- „ქერტლი, გაჰონაყარი“); 2. ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ე (ს.-ქართვ. *წიქ-არ „წითელი“ : ს.-ნახ. *წეგ-ენ „წითელი“); 3. ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ა (ს.-ქართვ. *ფხინ- „ჩხირი; საქსოვი იარაღი“ : ს.-ნახ. *ფხან- „ისარი“).

§5. ამოსავალი *ო ხმოვნის შესატყვისობანი. ამოსავალი ო ვოკალი ასევე არაერთგვაროვან რეფლექსებს წარმოაჩენს ქართველურ-ნახურ ენებში. გამოიყოფა როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები, რაც შემდეგი ტიპის ხმოვანმიმართებებს გულისხმობს: 1. ს.-ქართვ. ო ~ ს.-ნახ. ო (ს.-ქართვ. *პოხ- „ქონი“ : ს.-ნახ. *მოჰჰ- „ქონი, მუცლის ქონი“); 2. ს.-ქართვ. ო ~ ს.-ნახ. ა ← *ო (ს.-ქართვ. *კოკ-ელ- „ქუსლი“ :

ს.-ნახ. *კჷაკ- ← *კჷაკ- „ქუსლი“); ს.-ქართვ. ო - ს.-ნახ. უ (ს.-ქართვ. *კოწ- „მწვერვალი, კენწერო“ ს.-ნახ. *კუჭ- „მთის წვერი“).

§6. ამოსავალი *უ ხმოვნის შესატყვისობანი. წინარე-ენიდან მომდინარე ამოსავალი უ ხმოვნის რეფლექსები ნახურ-ქართველურ ენებში არაერთგვაროვანია. გამოიყოფა როგორც იდენტური, ისე დიფერენცირებული შესატყვისობები; რაც გულისხმობს შემდეგი ტიპის ხმოვანმიმართებებს: 1. ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. უ (ს.-ქართვ. *წუკ- „მომცრო ზომის ქვაბი“ : ს.-ნახ. *კჷკ- „ყანწი; ქილა“); 2. ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ო (ს.-ქართვ. *ლუფხ- „ლუფხი; წყალი ტალახიანი“ : ს.-ნახ. *დოფხ- „ოფლი, ნაღობი“); 3. ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ა (ს.-ქართვ. *ფუტ- „კვამლი; ელვა“ : ს.-ნახ. *ტაფ- ← *ტჷაფ- „ელვა“).

§7. ხმოვანთა ამოსავალი სისტემის ცვალებისათვის ფუძენახურში. საერთონახური ვოკალური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო ამოსავალ ხმოვანთა გადაწევა ორი მიმართულებით: 1. ღია → ვიწრო (ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე : ა→ე; ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ი : ა→ი; ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ი : ე→ი); 2. ვიწრო → ღია (ს.-ქართვ. ე ~ ს.-ნახ. ა : ე→ა; ს.-ქართვ. ი ~ ს.-ნახ. ე : ი→ე, შდრ. მათი ლაბიალიზებული სახეობები: ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ო : უ→ო || ი→ე; ს.-ქართვ. უ ~ ს.-ნახ. ჟა : უ→ჟა || ი→ა). პირობითად ს.-ქართვ. ა ~ ს.-ნახ. ე/ი ანუ ღია → ვიწრო რიგის შესატყვისობები შეიძლება დახასიათდეს როგორც სვანური ტიპის ხმოვანგადაწევა, ვინაიდან

ს.-ქართვ. ა → სვან. ე/ი ბუნებრივია; ხოლო ს.-ქართვ. ე/ი - ს.-ნახ. ა ანუ ვიწრო → ღია რიგის შესატყვისობებს ასევე პირობითად ვუწოდებთ ზანური ტიპის ბგერათცვლილებებს, შდრ. ს.-ქართვ. ე → ზან. ა (ქართ. ერთ-ი : ზან. ართ-ი, მე : მა, ექუს-ი : ამშვ-ი...).

§8. ზმნური აბლაუტის ერთგვაროვანი ტიპისათვის საერთოქართველურსა და საერთონახურში. ცნობილია, რომ ერთი რიგის ზმნები ქართველურ ენებში ე-ი ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით განასხვავებენ I და II სერიის დრო-კილოთა ნაკვთებს ერთმანეთისაგან: ვ-ცვეთ ~ ვ-ცვით-ე, ვ-ი-ჭერ ~ ვ-ი-ჭირ-ე... საერთოქართველური ე-ი ზმნური აბლაუტის შესატყვისი ჩანს საერთონახური ე-ა ასპექტური ტიპი ფუძენახურში, რომელიც თავს იჩენს საერთო წარმომავლობის ნახურ-ქართველურ ზმნებში. ამდენად, ასპექტური აბლაუტის მიხედვითაც ენათესავებიან ერთმანეთს საერთოქართველური და საერთონახური ფუძე-ენები; შდრ. ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. ე : ს.-ნახ. ე, ს.-ქართვ. ი : ს.-ნახ. ა, რაც ს.-ქართვ. ე-ი და ს.-ნახ. ე-ა ასპექტურ აბლაუტში გამოჩნდება — ს.-ქართვ. *ცუმესთ- ~ *ცუმისთ- „კვეთა, ჭრა“ : ს.-ნახ. *ცესთ- ~ *ცასთ- „ჭრა, კვეთა“; ს.-ქართვ. *ყუმენ- ~ *ყუმინ- „პარსვა, რაღაცის მოცილება“ : ს.-ნახ. *ლერკ- ~ *ლარკ- „პარსვა; კრეჭა“...

მეორე ნაწილი

კონსონანტური სისტემა

II თავი

§9. თანხმოვანთა სისტემის ზოგადი დახასიათება. ნებისმიერი ენის ფონოლოგიური სისტემის კვლევის პირველ საფეხურს წარმოადგენს ბგერითი სისტემის პარადიგმატული ანალიზი. საერთოქართველური და საერთონახური ენების რეკონსტრუირებულ ფონოლოგიურ სისტემაში გამოიყოფა კონსონანტთა ოთხი ძირითადი კლასი: 1. **ხშულები**; 2. **ნაპრალოვნები** ანუ **ფრიკატივები**; 3. **სონორები**; 4. **სონანტები**.

ქართველურსა და ნახურში თანხმოვანთა ლოკალური რიგები განისაზღვრება ენისა და ქვედა ბაგის აქტიური მოქმედებით სამეტყველო აპარატის არააქტიურ ორგანოებთან. ენა მოქმედებს პირის ღრუს სხვადასხვა ადგილის მიმართ. ხოლო ქვედა ბაგე — ზედა ბაგის ან ზედა კბილების მიმართ. თუ დასახელებულ ენათა თანხმოვნებს დავაჯუფებთ ლოკალური რიგების მიხედვით, ისინი ჰომორგანულ / ჰეტეროგენურ კონსონანტთა ათ რიგს შექმნიან: **წყვილბაგისმიერი, კბილისმიერი, წინა ალვეოლარული, შუა ალვეოლარული, უკანა ალვეოლარული, პალატარული, შუაენისმიერი, უკანაენისმიერი, ფარინგალური, ლარინგალური**.

საერთოქართველური ენობრივი ერთობის ხანისათვის რეკონსტრუირდება შემდეგი სახის კონსონანტური სისტემა — ხშულსკლომები: **ბ ფ ბ დ თ ტ გ ქ კ**; აფრი-

კატები: ძ ც წ ჯ ჩ ჭ 'ღ' ჳ ყ; სპირანტები: ზ ს ჟ შ ღ ხ
'გ' 'ჰ' ჰ; სონორები: რ ლ მ ნ; სონანტები: ა ჟ.

საერთონახურისთვისაც იგივეობრივი კონსონანტური სისტემა აღდგება. ოღონდ აქ სისტემა რთულდება და თა ტა სო ინტენსივებისა და ლატერალური ლ' სპირანტის დამატებით.

§10. სონორთა სისტემა. საერთოქართველური და საერთონახური ენობრივი ერთობის დონისათვის ვადასტურებთ მჟღერ უმარცვლო რ ლ მ ნ სონორ ფონემებს, რომელთაც არც ერთ პოზიციაში არ გააჩნდათ ყრუ და მარცვლოვანი ალომორფები. ნახურ-ქართველური ძირთადი ლექსიკური ფონდის ძირ-ფუძეთა შედარებით-ისტორიული შესწავლა ეწინააღმდეგება საერთოქართველური ფუძეენური მდგომარეობისათვის რ ლ მ ნ მარცვლოვან სონანტთა სისტემის პოსტულირებას.

სონორული რიგის მეტად საინტერესო ფონემათშესატყვისობები ვლინდება ნახურ-ქართველურ შეპირისპირებებში; შესატყვისობებს სისტემური ხასიათი აქვს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

§11. ლატერალი ლ. ფუძეენისეული ლ რეზონანტი საერთოქართველურში კარგად არის შემონახული. რასაც ვერ ვიტყვით საერთონახური ენობრივი ერთობის პერიოდში ლ ფონემის განვითარებაზე. ფუძენახური ლ→ა, ლ→რ, ლ→ჟ, ლ→მ, ლ→დ, ლ→ნ, ლ→ჰა ფონეტიკური გარდაქმნები გახდა საფუძველი ქვემომოყვანილი არაიდენტური სონორული რიგის ბგერათშესატყვისობებისა: 1. ს.-ქართვ. ლ ~ ს.-ნახ. ლ (ს.-ქართვ. *ლხ-ენ- /

ლ-ინ- „მოსვენება; მხიარულება“ : ს.-ნახ. * **ლეც**- „თამა-
 ში / სიმღერა“); 2. ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **ღ** (ს.-ქართვ.
 ***ლადღ**- „ლელვი“ ს.-ნახ. ***ღირღ**- „ერთგვარი მაგარი
 ხის ჯიში“); 3. ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **რ** (ს.-ქართვ.
 ***სტელ**-ა „ძლოკვი, უშხამო გველი“ : ს.-ნახ. ***შერ**-ო
 „ყურბელა, ერთგვარი ჭია“); 4. ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **ჟ**
 (ს.-ქართვ. ***ლელ**-ა „ლელე, პატარა ხევი“ : ს.-ნახ. ***ლაჟ**-
 „თხრილი“); 5. ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **მ** (ს.-ქართვ.
 ***ლეზჟ**- „დორბლი, დუჟი“ : ს.-ნახ. ***მაზჟ**- „წვენი“); 6.
 ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **ნ** (ს.-ქართვ. ***შტელ**- „შველი, ირე-
 მი“ : ს.-ნახ. ***შონ**- „დედალი ჯიხვი“); 7. ს.-ქართვ. **ლ** ~
 ს.-ნახ. **დ** (ს.-ქართვ. ***ლაყ**-ე „გაფუჭებული“ : ს.-ნახ.
 ***დაყ**- „მკვდარი“; ს.-ქართვ. **ლ** ~ ს.-ნახ. **ჰ** (ს.-ქართვ.
 ***ლიც**- „წყალი“ : ს.-ნახ. ***ჰასტ**- „წყარო“).

§12. ვიბრანტი რ. ამოსავალი **რ** ვიბრანტი ორივე
 ქვეჯგუფის ენებში კარგად არის შემონახული. მისი დის-
 ტრიბუცია შეზღუდულია; არ დასტურდება სიტყვის ან-
 ლაუტში. საერთოქართველურ სამ მაგალითში ანლაუ-
 ტური **რ**-ც გამოჩნდება, ეს ფუძეები შებრუნებული წყო-
 ბისაა საერთონახურ არქექტიპებთან შედარებით. ამ ტი-
 პის ფუძეებში შებრუნებული წყობის გამოვლინება დას-
 ტურია იმისა, რომ საერთოკავკასიური ძირის ანლაუტში
რ ვიბრანტი არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამოსა-
 ვალი **რ** ვიბრანტის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება
 ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულების მიხედვით
 — 1. ს.-ქართვ. **რ** ~ ს.-ნახ. **რ** (ს.-ქართვ. ***ხურ**-ო „ხურო“

: ს.-ნახ. *ფჰარ- ← *ჰარ- „ხელოსანი“); 2. ს.-ქართვ. რ ~ ს.-ნახ. ლ (ს.-ქართვ. *ფურ- „ძროხა“ : ს.-ნახ. *ბულ- „დომბაი“); 3. ს.-ქართვ. რ ~ ს.-ნახ. ნ (ს.-ქართვ. *ბზარ- „ყინული; ყინვა“ : ს.-ნახ. *ფშან- ← *ბჟან- „ყინული“); 4. ს.-ქართვ. რ ~ ს.-ნახ. მ (ს.-ქართვ. *ბორბალ- „ობობა“ : ს.-ნახ. *ბუმბარ- „მტაცებელი ფრინველის სახეობა“); 5. ს.-ქართვ. რ ~ ს.-ნახ. ჟ (ს.-ქართვ. *ლერთ- „ჩოხა; ნაბადი“ : ს.-ნახ. *ლაჟთ-ალ- „ხიფთანი“).

§13. ნაზალური მ სონორი. ფუძეენური მ ნაზალური სონორის პორტულაცია შესაძლებელი ხდება ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა შემდეგი ფორმულების მიხედვით — 1. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. მ (ს.-ქართვ. *მაზ-ე „მზე“ : ს.-ნახ. *მაჟ-უნ „ყვითელი“); 2. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. ლ (ს.-ქართვ. *მეტ- „მატება, მეტი“; 2. ს.-ნახ. *ლატ- „მატება“); 3. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. ნ (ს.-ქართვ. *ყამ-ა „ყრმა“ : ს.-ნახ. *ყონ-ონ „ახალგაზრდა“); 4. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. რ (ს.-ქართვ. *კჟამ- „კვამლი“ : ს.-ნახ. *კურ- „კვამლი“); 5. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. ჟ (ს.-ქართვ. *თხამ- „თავი, მწვერვალი“ : ს.-ნახ. *თხოჟ- „ჭერი, სახურავი“).

§14. ნაზალური ნ სონორი. ამოსავალი ნ სონორის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება ფუძეენურ ბგერათშესატყვისობათა შემდეგი სახეობების მიხედვით — 1. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-ნახ. ნ (ს.-ქართვ. *წან- „წნელი“ : ს.-ნახ. *ჰან- „რტო, კვირტი“); 2. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-ნახ. ლ (ს.-ქართვ. *ნეხჟ- „ნეხვი“ : ს.-ნახ. *ლახ- „ნაკელი“); 3. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-ნახ. მ (ს.-ქართვ. *ნისლ- „ნისლი; თოვ-

ლი“ : ს.-ნახ. *მარხ- „დრუბელი“); 4. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-ნახ. რ (ს.-ქართვ. *წყენ- „ქონი, ცხიმი“ : ს.-ნახ. *ჰყარ-ე „თევზი“); 5. ს.-ქართვ. ნ ~ ს.-ნახ. დ (ს.-ქართვ. *ნოლ- „დრძილები“ : ს.-ნახ. *დოლ- „id“).

III თავი

§15. ე და ჟ სონანტები. ნახურ-ქართველურ ენებში ე და ჟ სონანტები დამოუკიდებელ თანხმოვნურ ჯგუფად უნდა გამოიყოს. ე, ჟ ფონემათა განსხვავებულ ბუნებას რ ლ მ ნ სონორებთან შედარებით ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის მონაცემებიც ამოწმებენ. ზანურის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, ერთი ძირის ფარგლებში, ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ რ ლ მ ნ სონორები აკრძალულ თანხმოვანთკომპლექსთა რიცხვს განეკუთვნება. რასაც ვერ ვიტყვით თანხმოვანი + ჟ || ვ ჯგუფის თანმიმდევრობებზე, რომლის თითქმის ყველა შესაძლო კომბინაცია ზანურ დიალექტებში რეალიზებულია. აქედან გამომდინარე რ ლ მ ნ სონორები და ე ჟ სონანტები ერთ კლასად ვერ გაერთიანდება.

ე სონანტის დისტრიბუცია თავიდანვე განსაზღვრული ჩანს. საერთოქართველურ ფუძე-ენაში ე ერთადერთხელ დასტურდება სიტყვის ანლაუტში თ ხმოვნის წინ, შდრ. ს.-ქართვ. *ჲორ- „ორი“. საერთონახურშიც ე სონანტი თავჩენილია მხოლოდ ხმოვნის წინა პოზიციაში როგორც სახელებში, ისე ზმნურ ფუძეებში.

ამოსავალი **ღ** ფონემის თანხმოვანურ ბუნებაზე მეტყველებს ქართველურ-ნახური შესატყვისობაც — ს.-ქართვ. **ს** - ს.-ნახ. **ღ** (ს.-ქართვ. ***ს**-ძალ- „ძალი; ქალი“ : ს.-ნახ. ***ღ**-აყარ- „და“; ს.-ქართვ. ***ს**-უყ- „ზურგი; ზურგიელი“ : ს.-ნახ. ***ღ**-უყ- „წელი“; ს.-ქართვ. ***ჰ**ასტ-ილ- ← ***ს**-ასტ-ილ- „ასული“ : ს.-ნახ. ***ღ**-ოჰა ← ***ღ**-აჰატ- „id“).

§16. ფუძეენური ჟ სონანტის რეკონსტრუქცია შესაძლებელი ხდება არაერთგვაროვან ქართველურ-ნახურ შესატყვისობათა საფუძველზე. ქვემომოყვანილ ფონემურ მიმართებათა მრავალფეროვნება ცალსახად მეტყველებს წყვილბაგისმიერი ჟ-ს პარადიგმატული სიხშირის მაღალ კოეფიციენტზე ორივე ჯგუფის ენებში: 1. ს.-ქართვ. ჟ - ს.-ნახ. ჟ (ს.-ქართვ. ***ჟ**არძ- „სავარძელი“ : ს.-ნახ. ***ჟ**ოჯ- „უნაგირი, ტახტა“); 2. ს.-ქართვ. ჟ ~ ს.-ნახ. ზ (ს.-ქართვ. ***ზ**ჟარ- „მზვარე, მზიანი ადგილი“ : ს.-ნახ. ***ზ**ზან- „სხივი“); 3. ს.-ქართვ. ჟ ~ ს.-ნახ. მ (ს.-ქართვ. ***ჟ**ინ-ა „ვინ“ : ს.-ნახ. ***მ**ინ-ა „id“); 4. ს.-ქართვ. ჟ ~ ს.-ნახ. ნ (ს.-ქართვ. ***ღ**იჟ- „ამონაზარდი თესლიდან; ყვავილი“ : ს.-ნახ. ***ღ**ან- „ფურცელი / ფოთოლი“).

სონანტური რიგის არაიდენტურ ბგერათშესატყვისობათა ერთ-ერთ სახეობას განეკუთვნება ს.-ქართვ. ჟ - ს.-ნახ. რ — (ს.-ქართვ. ***ქ**იჟ- „ჩუმამაწონი; ყველი“, სვან. ქიჟ „ყველი“ : ს.-ნახ. ***ქ**ირ- „შრატ“), რასაც ჟ→რ ფონეტიკური პროცესი დაედო საფუძველად, შდრ. ჟ→რ ლაზურში: ქართ. ჰვაგ-ი → ლაზ. ჰვარ-ი „id“, ქართ. ამბავი → ლაზ. ამბარ-ი „id“... ჟ~რ შესატყვისობა თავს იჩენს

ისტორიულ ლაბიალიზებულ კომპლექსთა დონეზეც — ს.-ქართვ. *ზაშჷ- „შაშვი“ : ს.-ნახ. *ჟორშ- „შაშვი, შო-შია“; ს.-ქართვ. *მისჷ- „წვეტი“ : ს.-ნახ. *მარშ- „დრუნ-ჩი“; ს.-ქართვ. *ბეწჷ- „ბეწვი“ : ს.-ნახ. *მერწ- „ცხენის კუდის ბეწვი“).

მიუხედავად იმისა, რომ ლაბიალიზებული კომპლექსები ნახურში დაიშალა სხვადასხვა მიმართულებით, სინქრონიულ დონეზე, ერთადერთ შემთხვევაში, მაინც გამოჩნდება, შდრ. ს.-ქართვ. *ლეკჷ- „ნაშიერი“ : ს.-ნახ. *ლეჟჷ- „პატარა; მწყერი“ შეპირისპირებაში.

ნახური ძირის ანლაუტში ისტორიულად განხორციელდა ლაბიალიზებულ კომპლექსთა სუბპერაციის საყურადღებო სახეობა — # Cჷ → #ბ/ფC : ს.-ნახ. ფჰარ- ← *ჰარ- „ძალი“, შდრ. ს.-დად. *ხარ „ძალი“; ს.-ნახ. *ფხი ← *ხჷი „ხუთი“, შდრ. ს.-ქართვ. *ხჷი-თ- „ხუთი“ : აფხ. ხუ- „id“.

ხშული თანხმოვნები IV თავი

საერთოქართველური ფუძე-ენისათვის, ისე როგორც ფუძენახურისთვის, დამახასიათებელი იყო ხშულთა და აფრიკატთა სამეულებრივი ლოკალური რიგები: **ბ ფ პ, დ თ ტ, ძ ც წ, ჯ ჩ ჭ, გ ქ კ, 'ღ' ზ ყ**; ხოლო სპირანტებისათვის ნიშანდობლივი იყო წყვილებრივი სისტემები: **ზ ს, ჟ შ, ღ ხ, ზ ჰა**. და თუ ხშულთა და აფრიკატთათვის ბუნებრივია მჟღერი — ყრუ ფშვინვიე-

რი — ყრუ მკვეთრი / აბრუბტივი სერიები, ფრიკატი-
ვებში მხოლოდ მუდერი ყრუ ფშვინვიერი კორელაცია
ფუნქციონირებდა.

§17. წყვილბაგისმიერ ხშულთა შესატყვისობანი.

ბილაბიალურ ხშულებში შესატყვისობები ძირითადად
ილენტურია. ამოსავალი ბ წყვილბაგისმიერი მუდერი
ხშულ-მსკდომი აღდგება ბგერათშესატყვისობათა შემდეგი
სახეობების მიხედვით: 1. ს.-ქართვ. ბ ~ ს.-ნახ. ბ
(ს.-ქართვ. *ბელ-ო „ბელელი“ : ს.-ნახ. *ბჟ-ოჟ „კოშკი სა-
ბრძოლო“); 2. ს.-ქართვ. ჟ ~ ს.-ნახ. ბ (ს.-ქართვ. *ჟან-
„სახლი, სადგომი“ : ს.-ნახ. *ბონ- „ქოხი“); 3. ს.-ქართვ. ბ
~ ს.-ნახ. ჟ (ს.-ქართვ. *ლობ- „ლობე“ : ს.-ნახ. *ლოჟ-
„კედელი“); 4. ს.-ქართვ. ბ ~ ს.-ნახ. ფ (ს.-ქართვ. *ბუგ-
ურ- „ყვავილი“ : ს.-ნახ. *ფუგ- „კვირტი (მატყლის)“); 5.
ს.-ქართვ. ფ ~ ს.-ნახ. ბ (ს.-ქართვ. *ფლატ-ე „ნაპირი
(მდინარის, ხევის)“ : ს.-ნახ. *ბერტ- „ნაპირი, ფლატე“);
6. ს.-ქართვ. ბ ~ ს.-ნახ. მ (ს.-ქართვ. *წარბ- „წარბი; ნი-
შანი სახეზე“ : ს.-ნახ. *ჰამ-ო „ნიშანი საქონლის შუბლ-
ზე“); 7. ს.-ქართვ. მ ~ ს.-ნახ. ბ (ს.-ქართვ. *მოზჟ-ერ-
„მოზვერი“ : ს.-ნახ. *ბორშ- „მოზვერი“). წყვილბაგისმიე-
რი ყრუ ფშვინვიერი ფ ხშულ-მსკდომი პოსტულირდება
ბგერათშესატყვისობათა ორი სახეობის საფუძველზე: 1.
ს.-ქართვ. ფ ~ ს.-ნახ. ფ (ს.-ქართვ. *ფითილ- „ფთილა,
ბეწვი, თმა“ : ს.-ნახ. *ფათარ- „ბუმბული, თივთიკი (თხი-
სა)“); 2. ს.-ქართვ. ფ ~ ს.-ნახ. ჰ ← *ფ (ს.-ქართვ.
*ფხ-ან- „მოფხანა“ : ს.-ნახ. *ჰახ- „მოხოცვა, დაგვა, წას-

მა“). წყვილბაგისმიერი **პ** აბრუპტივი დამახასიათებელი იყო ორივე ჯგუფის ფუძეენური მდგომარეობისათვის. **პ** გლოტალის პოსტულაცია შესაძლებელი ხდება შესატყვისობათა შემდეგი სახეობების საფუძველზე: 1. ს.-ქართვ. **პ** ~ ს.-ნახ. **ბ** (ს.-ქართვ. ***პატ**- „ნეხვი“ : ს.-ნახ. ***ბიტ**- „განავალი“); 2. ს.-ქართვ. **პ** ~ ს.-ნახ. **ფ** (ს.-ქართვ. ***პერ**- „პეპელა; ფრენა“ : ს.-ნახ. ***ფალ**-უ „პეპელა“); 3. ს.-ქართვ. **პ** ~ ს.-ნახ. **მ** (ს.-ქართვ. ***პალუ**- „კუზი“ : ს.-ნახ. ***მალუ**- „კული“; ს.-ქართვ. ***წომ**- „წვერი, წანაზარდი“ : ს.-ნახ. ***წომ**- „ხორთუმი“).

§18. დენტალურ ხშულთა შესატყვისობანი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დენტალური რიგის ბგერათშესატყვისობები ძირითადად იდენტურია. ამოსავალი კბილისმიერი **დ** მჟღერი ხშული რეკონსტრუირდება შემდეგი სახეობების მიხედვით: 1. ს.-ქართვ. **დ** ~ ს.-ნახ. **დ** (ს.-ქართვ. ***დაკალ**- „თხა“ : ს.-ნახ. ***დახან**- „საქონელი, პირუტყვი“); 2. ს.-ქართვ. **დ** ~ ს.-ნახ. **თ** (ს.-ქართვ. ***დასთუ**- „დათვი“ : ს.-ნახ. ***თათუ**-ალ „დათვის ბელი“); 3. ს.-ქართვ. **რ** ~ ს.-ნახ. **დ** (ს.-ქართვ. ***ძურ**-ა „ძუ, ძუკნა“ : ს.-ნახ. ***ძუდ**-ა „ძუ, ძუკნა“; ს.-ქართვ. ***რაცხ**-/რიცხ- „თვლა; რიცხვი“ : ს.-ნახ. ***ლოჩ**-/***დაჩ**- „სიტყვა; კითხვა“; ს.-ქართვ. ***წყარუ**- „მწყერი“ : ს.-ნახ. ***ჰყარდ**- „ტოროლა“). ამ უკანასკნელ **რ** : **დ** შესატყვისობას **დ**→**რ** ქართველური პროცესი დაედო საფუძველად, შდრ. ქართ. მზად-ებ-ა → მზარ-ეულ-ი. **დ** → **რ**, რომელიც უცხოა ნახური ენებისათვის, ბუნებრივი ჩანს საერთოქართველურ-

სა და თანამედროვე დაღესტნურ ენებში: ბაგვ. არამ ← ადამ „ადამიანი“...

ამოსავალი ყრუ ფშვინვიერი თ დენტალი აღსადგენია
1. ს.-ქართვ. თ ~ ს.-ნახ. თ (ს.-ქართვ. *თჷალ- „თვალი; თვლემა; თვალთვალი“ ს.-ნახ. *თარ-/*თერ- „თვლემა, თვალყური“); 2. ს.-ქართვ. თ – ს.-ნახ. თა (ს.-ქართვ. *ლათ-ამ- „ჭონჭყო მიწა; ტალახი“ : ს.-ნახ. *დათა-ე „მიწა, ტალახი / ნაგავი“, ს.-ქართვ. *თათ-აბ-ო „თუთუბო“ : ს.-ნახ. *დათა-უ „ცირცელი“) მიმართებათა მიხედვით. უნდა შევნიშნოთ, ს.-ქართვ. თ : ს.-ნახ. თ გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვითა და თავისუფალი დისტრიბუციით; რასაც ვერ ვიტყვით თ : თა მიმართებაზე, რომელიც მხოლოდ სიტყვის ანლაუტში გამოჩნდება და რამოდენიმე მაგალითში დასტურდება თ დენტალის ინტენსიური *თა კორელატი ანუ გრძელი თანხმოვანი აღდგება ს.-ქართვ. სთ – ს.-ნახ. თა შეპირისპირების ნიადაგზე. სავარაუდოა თა → სთ საერთოქართველური მდგომარეობისათვის — ს.-ქართვ. *ასთ- „ათი“ : ს.-ნახ. *ითა- „ათი“; ს.-ქართვ. *დ-უსთ-ე „თვე, მთვარე“ : ს.-ნახ. *ბ-უსთა- „თვე, მთვარე“).

ფუძეენური აბრუპტივი დენტალი ტ ორივე ჯგუფის ენებში უცვლელად შემოგვენახა. ამიტომაც ს.-ქართვ. ტ ~ ს.-ნახ. ტ შეფარდება უალტერნატივო ჩანს — ს.-ქართვ. *ტეჷ- „შეტევა, ჩხუბი“ : ს.-ნახ. *ტემ- „ომი“; ს.-ქართვ. *ფეტჷ- „ფეტვი“ : ს.-ნახ. *ბატჷ- „ცომი“; ს.-ქართვ. *ტოქ- „მოწინააღმდეგე, წინ მდგომი“ : ს.-ნახ. *ტოჰა- „უკანა; შთამომავალი“...

სიბილანტთა სისტემა

V თავი

წინა და უკანანუნისმიერ თანხმოვანთა სერიის ევოლუციისა და რეფლექსაციის პრობლემა კარდინალური საკითხია ნახურ-ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკის შესწავლის თვალსაზრისით. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქართული ენის **სისინა** სიბილანტებს ზანურსა და სვანურში **შიშინა** ალოფონები შეესატყვისება [ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, თ. გამყრელიძე...] — ქართ. **ძ ც წ ზ ს** : ზან. **ჯ ჩ ჳ ე შ** : სვან. **ჯ → / ე ჩ → / შ ჳ → / ჳ ე შ**; ხოლო ქართულის **შიშინა** სიბილანტებს ზანურ-სვანურში (resp. დასავლურ ქართველურში) თანხმოვანკომპლექსები — **შიშინა + უკანაენისმიერი ხშული** — შეეფარდება: ქართ. **ჯ ჩ ჳ (ე) შ** : ზან. **ჯგ → / ძგ ჩქ → / ცქ ჳკ → / წკ (ეგ) შქ → / სქ** : სვან. **ჯგ → / სგ ჩგ → / შგ ჳკ → / შკ (ეგ) შქ → შგ / სგ**. წარმოდგენილ შესატყვისობათა ორივე მოდელი — 1. **სისინა** : **შიშინა**, 2. **შიშინა** : **შიშინა + უკანაენისმიერი ხშული** — ქართველურ ენებში აიხსნება როგორც არტიკულაციის უკან გადაწევა ანუ **შიშინა სიბილანტთა ველარიზაცია**. სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ „ენის მონაწილეობის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ — ესაა საფუძველი, რომელმაც განსაზღვრა ჳანურ-მეგრულის **შიშინი**. ქართულის

სისინის ნაცვლად, დიფერენციაცია ამ თანხმოვნებში გამოუწვევია არტიკულაციის ცვლას, წინა ენის ზურგის ამოქმედებას ენის წვერის ნაცვლად“ [არნ. ჩიქობავა]. ზემოთ აღწერილ სიბილანტური რიგის კონსონანტთა ტრანსფორმაციას, რაგვარობის თვალსაზრისით, მხარს უჭერს ხმოვანთა შესატყვისობების ჩვენებაც ზანურში: „ა ო ენის უკანა ნაწილის აწევით ხასიათდებიან, ვინემ სათანადო ქართული ხმოვნები ე ა. არტიკულაციის ცვლა აქ იმავე რიგისაა, როგორც თანხმოვანთა წარმოებაში შევნიშნეთ“ [არნ. ჩიქობავა].

ქართ. **სისინა** : ზან.-სვან. **შიშინა** ტიპის სიბილანტურ მიმართებათა გვერდით გამოყოფილია ქართ. **სისინა** : ზან.-სვან. **სისინა** შესატყვისობაც, რაც ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფონემათკორესპონდენციებად უნდა განვიხილოთ [გ. მაჭავარიანი]. ვიზიარებთ მოსაზრებას რომლის მიხედვითაც **სისინა** : **სისინა** მოდელი აიხსნება როგორც ამოსავალ სიბილანტთა ევოლუციის მესამეული საფეხური ზანურსა და სვანურში: *ძ *ც *წ *ზ *ს → ჯ ჩ ჰ შ შ →|| ძ ც წ ზ ს, მაგალითისათვის შდრ. ქართ. წვეთ-ი : ზან. ჰვათ-ი || ჰვეთ-ი „id“, მაგრამ წვეთ-ავ-ს : წვათ-ან-ს „id“... [გ. როგავა].

საერთო ეტიმოლოგიის მქონე ნახურ-ქართველურ მორფემათა შედარებითი ანალიზისას ირკვევა, რომ ამოსავალ **სისინა** სიბილანტთა **გაშიშინების** ზანურ-სვანურისებური, ერთგვაროვანი ფონეტიკური პროცესი საცნაურია საერთონახური ენობრივი ერთობის პერიოდისთვისაც. აქ გაირჩევა ბგერათშესატყვისობათა შემდეგი სახეო-

ბები: 1. ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** ~ ს.-ნახ. **ძ ც წ ზ ს** ანუ **სისინა** : **სისინა**; 2. ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** ~ ს.-ნახ. **ჭ ჩ ქ უ შ** — **სისინა** : **შიშინა**. ამათგან პირველი მოდელი მეორეული ფორმაციისა გვგონია; **სისინა** : **სისინა** სიბილანტური შეფარდება განვითარდა საერთონახურში მოქმედი **შიშინა** →|| **სისინა** ფონეტიკური ალტერნაციის საფუძველზე. ე. ი. ძველ ვითარებას ასახავს ს.-ქართვ. **სისინა** : ს.-ნახ. **შიშინა** ბგერათშესატყვისობა, რომლის ქვესახეობად მიიჩნევა, ისევე როგორც ქართველური ენებისთვის, ს.-ქართვ. **სისინა** : ს.-ნახ. **სისინა** ტიპის შეფარდებები.

§19. რეალურად არსებული ვითარების უკეთ წარმოსაჩენად თითოეული სიბილანტი ფონემის მიხედვით განვიხილავთ ზემოთ აღწერილ კორესპონდენციებს — ს.-ქართვ. **ძ ც წ ზ ს** ~ ს.-ნახ. **ჭ ჩ ქ უ შ**.

დისტრიბუციული შეუზღუდაობით ხასიათდება ს.-ქართვ. **ძ** : ს.-ნახ. **ჭ** შესატყვისობა (ს.-ქართვ. ***ძაბ**- „წულა“ : ს.-ნახ. ***ჯამ**- „ქალამანი“; ს.-ქართვ. ***ძიძ**შ- „ძვალი“ : ს.-ნახ. ***ჯიჯ**- „ხორცი“; ს.-ქართვ. ***კანძ**- „მატყლი (ერთი ცხვრის ნაპარსი)“ : ს.-ნახ. ***კეჯ**- „ერთგვარი მატყლი“...

ს.-ქართვ. **ც** ~ ს.-ნახ. **ჩ** ფონემური მიმართება გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვითა და თავისუფალი დისტრიბუციით. — ს.-ქართვ. ***ცუხ**- „ცუხი“ : ს.-ნახ. ***ჩუჰა**-ი „შრავი“; ს.-ქართვ. ***ცონ**- „დამაკება, მაკე“ : ს.-ნახ. ***ჩულ**-ინ „მაკე; ორსული“; ს.-ქართვ. ***ქაც**- „სითხის დაღვრა“ : ს.-ნახ. ***ქაჩ**- „თხევადი“...

ს.-ქართვ. **წ** ~ ს.-ნახ **ჭ** ბგერათშესატყვისობას გამო-
 ნაკლისები არ გააჩნია. რაც იმაზე მეტყველებს, რომ რო-
 გორც საერთოქართველურში, ისე საერთონახურში **წ**, **ჭ**
 გლოტალური სიბილანტები ფონეტიკურ გარდაქმნებს არ
 ექვემდებარებოდნენ — ს.-ქართვ. *წარ- „წერი; ხის კანი“
 : ს.-ნახ. *ჭორ- „კანი; საბნის პირი“; ს.-ქართვ. *წეკ-
 „თამბაქო“ : ს.-ნახ. *ჭეკ- „მწვანე ლობიო“; ს.-ქართვ.
 *წილ- „კრეფა; წყვეტა“ : ს.-ნახ. *ჭილ- „ფრცქვნა“...

ს.-ქართვ. **წ** ~ ს.-ნახ. **ჭ** სპირანტული ბგერათშე-
 სატყვისობის რეგულარულობა ნათლად აჩვენებს ორივე
 ქვეჯგუფის ფუძე-ენებში მუდერ სპირანტთა არსებობას —
 ს.-ქართვ. *მაწუ- „ნეზვი, დედალი პირუტყვი“ : ს.-ნახ.
 *ბაჭ-ან „საქონელი, ძროხა“; ს.-ქართვ. *წალუა- „ზღვა“ :
 ს.-ნახ. *ჭალა „ქვიშა“; ს.-ქართვ. *წომ- „ჭამა; საჭმელი“ :
 ს.-ნახ. *მოჭ- „სალაფავი, შეჭამადი“...

ფუძენახურში მოქმედებდა **ს** → **შ / ჰ** ფარინგალი-
 ზაციის ფონეტიკური პროცესი, რის ნიადაგზეც ჩამოყა-
 ლიბდა ს.-ქართვ. **ს** ~ ს.-ნახ. **შ** → **ჰ** თავისუფალი დის-
 ტრიბუციის ბგერათშესატყვისობა — ს.-ქართვ. *სტელ-
 „სველი, შრატის“ : ს.-ნახ. *შარ- „დო, შრატის“; ს.-ქართვ.
 *სტეტ- „სვეტი, ბოძი“ : ს.-ნახ. *შატ- „კვანძი, საყრდე-
 ნი“; ს.-ქართვ. *სათ- „გიშერი“ : ს.-ნახ. *დაშ- „ოქრო“;
 ს.-ქართვ. *ას-ირ- „ასი“ : ს.-ნახ. *ბ-აჰ-ინ „ასი“; ს.-ქართვ.
 *ჰასტ-ილ- „ასული“ : ს.-ნახ. *დ-ოჰ- ← *დ-აჰ- „ქალიშ-
 ვილი“, ს.-ქართვ. *მესერ- „მესერი, სარი, პალო“ : ს.-ნახ.
 *მაჰარ- „ჩანგალი; ბრჭყალი“...

§20. ამოსავალ **სიბილანტ-** თანხმოვანთა რეკონსტრუქცია, როგორც უკვე ითქვა, შესაძლებელი ხდება ს.-ქართვ. **სისინა** : **ძ ც წ ზ ს** ~ ს.-ნახ. **სისინა** : **ძ ც წ ზ ს** იდენტური მოდელის მიხედვითაც.

ს.-ქართვ. **ძ** ~ ს.-ნახ. **ძ** ბგერათშესატყვისობა დასტურდება როგორც ანლაუტში, ისე არაანლაუტში — ს.-ქართვ. ***ძამ-** „ძმა“ : ს.-ნახ. ***ძამ-** „მაყარი“; ს.-ქართვ. ***ძარღუ-** „ძარღვი“ : ს.-ნახ. ***ძორღ-** „კუჭი“; ს.-ქართვ. ***ღენძ-** „სპილენძი“ : ს.-ნახ. ***ღედ-** „თითბერი“...

სიბილანტური ოპოზიცია ს.-ქართვ. **ც** ~ ს.-ნახ. **ც** გამოირჩევა საილუსტრაციო მასალის სიუხვით; მისი დისტრიბუცია თავისუფალია — ს.-ქართვ. ***ციყუ-** „ციყვი“ : ს.-ნახ. ***ცაკუ-ალ-** „მელია“; ს.-ქართვ. ***ცომ-** „ცომი“ : ს.-ნახ. ***ცუნ-** „ღერღილი, ხალი“; ს.-ქართვ. ***ქარც-** „თეთრი“ ს.-ნახ. ***ჰარც-** „ქერა“... ფუძეენური **ც** სისინა სიბილანტის პოსტულირების შესაძლებლობა გვეძლევა ს.-ქართვ. **ც** ~ ს.-ნახ. **სთ** არაიდენტური შესატყვისობის მიხედვით, რომელიც განვითარდა **ც** → **სთ** საერთონახური ფონეტიკური პროცესის საფუძველზე — ს.-ქართვ. ***ცამ-ელ-** „ქონი, ცრემლი“ : ს.-ნახ. ***სთამ-**ინ „მსხვილი, ქონიანი“; ს.-ქართვ. ***კაც-** „კაცი“ : ს.-ნახ. ***სთაკ-** „კაცი“; ს.-ქართვ. ***ცენ-** „მცენარე; ნაყოფის მოსხმა“ : ს.-ნახ. ***სთამ-** „ნაყოფი მცენარეთა; ხილი“...

ნორმალური **ც** სიბილანტის ინტენსიური **ც** კორელატი აღდგება ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **ცხ** ~ ს.-ნახ. **ც / ხ** ფორმულის მიხედვით, სადაც საერთოქარ-

თველურშივე **ც**-ს მომდევნოდ **ხ**-ს გამოჩენა ინტენსიურობის ისტორიულ კვალს ასახავს — ს.-ქართვ. ***ცხარ**-ა „ცხრა“ : ს.-ნახ. ***ი-სიან**-ა „ცხრა“; ს.-ქართვ. ***კირცხ**-„თრთვილი / კოხი“ : ს.-ნახ. ***კაც**- „თრთვილი / ჭირხლი“; ს.-ქართვ. ***კერცხ**-ა „წვერი, შვერილი“ ს.-ნახ. ***კამს**-ურ „ეშვი, ფოცხი“...

იდენტური ს.-ქართვ. **წ** - ს.-ნახ. **წ** ბგერათშესატყვისობის საფუძველზე რეკონსტრუირდება ამოსავალი სისინა **წ** მკვეთრი სიბილანტი. მისი პარადიგმატული სიხშირის მაღალ კოეფიციენტზე მიუთითებს **წ** : **წ** ოპოზიციის საილუსტრაციო ნიმუშთა სიმდიდრე და დადასტურებული შეუზღუდაობა — ს.-ქართვ. ***წულ**- „მცირე ასაკის ბავშვი / ვაჟიშვილი“ : ს.-ნახ. ***წოდ**-ერ „მცირე ასაკის, უმწიფარი ბავშვი“; ს.-ქართვ. ***წუედ**- „წვეთი“ : ს.-ნახ. ***დარწ**- „მცირე წვიმა“; ს.-ქართვ. ***მოწ**- „ხის წვენი“ : ს.-ნახ. ***მოწ**- „თაფლი“; ს.-ქართვ. ***მწარ**-ე „მწარე“ : ს.-ნახ. ***მაწრ**-ინ „ტკბილი“...

ნახურ-ქართველურ ენათა რეკონსტრუირებულ ფონოლოგიურ სისტემათა ჩვენება ამოწმებს, რომ სისინა სპირანტების პოსტულაციას ფუძე-ენების დონეზე წინააღმდეგობა არ ახლავს.

ამოსავალი მჟღერი **წ** სპირანტი აღდგება იდენტური ს.-ქართვ. **წ** - ს.-ნახ. **წ** ბგერათშესატყვისობის მიხედვით — ს.-ქართვ. ***მ-წლილ**- „მწერის კვერცხი“ : ს.-ნახ. ***წირლ**- „კვერცხი (მწერისა)“; ს.-ქართვ. ***ბწ**-ალ- „აბრეშუმის ხე, ბზა“ : ს.-ნახ. ***ბაწ**-ან „ნაძვი; ურთხელი“; ს.-ქართვ. ***ლუწ**- „ლუზა“ : ს.-ნახ. ***ლოწ**- „სამაჯური, მჭიდი“...

ფშინვიერი სისინა **ს** სპირანტი პოსტულირდება შესატყვისობათა შემდეგი ფორმულების მიხედვით — 1. ს.-ქართვ. **ს** ~ ს.-ნახ. **ს** : ს.-ქართვ. ***სელ-** „ბორბლიანი მარხილი“ : ს.-ნახ. ***სემ-ა** „ღერძი“; ს.-ქართვ. ***სერ-** „ლამე, სალამო“ : ს.-ნახ. ***ფსარ-** ← ***სურ-** „სალამო“; ს.-ქართვ. ***ქურს-ლ-** „ქუსლი“ : ს.-ნახ. ***ქორს-** „ქაჩაჩი“... 2. ს.-ქართვ. **ს** ~ ს.-ნახ. **ხ** ← ***ს** : ს.-ქართვ. ***სურსტ-** ილ „მუწუკი, კოპი“ : ს.-ნახ. ***სურხ-** „მუწუკი“; ს.-ქართვ. ***ლეს-** „ნემსი“ : ს.-ნახ. ***მახ-ა** „ნემსი“; ს.-ქართვ. ***ემსტ-** „ექესი“ : ს.-ნახ. ***ხალხან-** „ექესი“...

§21. შიშინა სიბილანტები. როგორც ვნახეთ, შიშინა სიბილანტურ რიგში არტიკულაციის უკან გადაწევა (resp. ველარიზაცია) ქართველურ ენებში რეალიზებულია **შიშინა სიბილანტი + უკანაენიმიმერი ხშული** თანმიმდევრობით. ფუძენახურ შიშინა სიბილანტ-აფრიკატებში, არტიკულაციის უკან გადაწევისას სათანადო ფონოლოგიური ინვერტარის — ველარიზებულ შიშინა სიბილანტთა — უქონლობამ ფონეტიკური პროცესი ზანურ-სვანურისაგან განსხვავებული, დესიბილაციის (დეზაფრიკატიზაციის) გზით წარმართა. ამიტომაც წინარე-ნახური ენიდან მომდინარე **ჭ ჩ ჭ** შიშინა აფრიკატები, დეზაფრიკატიზაციის ფონეტიკური პროცესის შედეგად, დაემთხვა დენტალური რიგის **ღ თ ტ** ფონემებს — ს.-ქართვ. **ჭ ჩ ჭ** ~ ს.-ნახ. **ღ თ ტ**. ფუძენახურში არტიკულაციის უკან გადაწევის რეალობა მტკიცდება ამოსავალი **შ** შიშინა სპირანტის რეფლექსების მეშვეობითაც. ამ შემთხვევაში საცნაურია **შ** შიშინა სიბილანტის ფარინგალიზაციის

შ→**ჰ** ფონეტიკური პროცესი, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა ბგერათშესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** : ს.-ნახ. **ჰ**. საერთონახური **შ** სპირანტის არტიკულაციის არასტაბილურობით აიხსნება **შ**→**ჰ** →**||** **ლ'** და **შ**→**ს** (შდრ. ***ჰ** ***ჩ** ***ჭ** → **ღ** **თ** **ტ**) ფონეტიკური პროცესების ფუნქციონირება ფუძენახურში.

ამოსავალი მყდერი **ჰ** შიშინა აფრიკატი რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. **ჰ** ~ ს.-ნახ. **ღ** შესატყვისობის საფუძველზე. ისტორიულად ფიქსირებული ნახური ენების მიხედვით საცნაურია ***ღ** → **თ** ვაინახურში, ხოლო ***ღ** → **ტ** — ბაცბურში: ს.-ქართვ. *მ-არჰჟ-ენ- „მარჯვენა“ : ს.-ნახ. *აღჰ-ინ- „მარჯვენა“; ს.-ქართვ. *ბარჰ- „ბარჯი (საყრდენი), ჯოხი“ : ს.-ნახ. *ფაღა-უ „ხის ძელი“; ს.-ქართვ. *ღრეჰ- „უხასიათობა, ავგულობა, ბრაზიანობა“ : ს.-ნახ. *ღუღჰარ- „ჯავრი, ბრაზი“...

ს.-ქართვ. **ჩ** ~ ს.-ნახ. **თ** ბგერათშესატყვისობის მიხედვით აღდგება ამოსავალი ფშვინვიერი შიშინა **ჩ** აფრიკატი. ანლაუტში საერთონახური **თ** ინტენსივის გამჟღერების პროცესი შეინიშნება — # **თ** → # **ღ**, რასაც განსაზღვრავს ინტენსიური **თ** ფონემის დისტრიბუციული შეზღუდულობა — ს.-ქართვ. *ნერჩ- „ძირი, ფუძე; საყრდენი ადგილი“ : ს.-ნახ. *მათ- „ადგილი; ლოგინი“; ს.-ქართვ. *არჩ-ეჟ- „არჩვი“ : ს.-ნახ. *მ-ეთ- „ძროხა“; ს.-ქართვ. *ჩან- „ჩენა, ცოდნა, მიჩნევა“ : ს.-ნახ. *მოთ- „მიჩნევა, გონება (ჰგონია)“; ს.-ქართვ. *ჩუ- „ცხენი“ ს.-ნახ. *ღო- ← *თო- „ცხენი, ჰუნე“...

ნორმალური **ჩ** სიბილანტის ინტენსიური **ჩ** კორელაციის არსებობა ივარაუდება ს.-ქართვ. **ცხ** - ს.-ნახ. **ჩ** კორესპონდენციის საფუძველზე. საერთონახურში **ჩ** ინტენსიურმა სიბილანტმა აფრიკატული ბუნება შეინარჩუნა, ხოლო საერთოქართველურში **ჩ** და **ც** ფონემათა რეფლექსები ერთმანეთს დაემთხვა. ვინაიდან ადრევე განხორციელდა წინარექართველური **ჩ** - **ც** კორელაციის ნეიტრალიზაცია — **ც** - **ჩ** → **ც**. ტიპოლოგიურად მსგავსი პროცესი ცნობილია ბაგვალურსა და ახვახურში, აგრეთვე ხუნძური ენის დიალექტებში, შდრ. ხუნძ. **ჩ**უთ → დიალ. **ც**უთ „ხელიკი“ [ტ. გუდავა] — ს.-ქართვ. *რა**ცხ**- / *რი**ცხ**- „თვლა; რიცხვი“ : ს.-ნახ. *დო**ჩ**- / *და**ჩ**- „სიტყვა; კითხვა“; ს.-ქართვ. *კუ**არცხ**- „ფეხი“ : ს.-ნახ. *კა**ჩ**- „ფეხი“.

ამოსავალი მკვეთრი **ჭ** შიშინა აფრიკატი რეკონსტრუირდება ს.-ქართვ. **ჭ** - ს.-ნახ. **ტ** ფორმულის საფუძველზე. ვაინახურში საცნაურია **ტ** → **თ** დეგლოტალიზაციის არაანლაუტური პროცესი — ს.-ქართვ. *მუ**ჭ**- „მოჭერა, მომუჭვა“ : ს.-ნახ. *მუ**ტ**- „წვენი, ნაწური, ნაჟური“; ს.-ქართვ. *დ-ინ**ჭ**უ-ელ- „ჭინჭველა“ : ს.-ნახ. *დ-ი**ტ**-ან „კოლო“; ს.-ქართვ. *დინ**ჭ**არ- „ჭინჭარი“ : ს.-ნახ. *ნი**ტ**-არ „ჭინჭარი“...

შესატყვისობა ს.-ქართვ. **შ** - ს.-ნახ. **ჰ**||ლ'||ს ალგვადგენინებს ამოსავალ შიშინა **შ** სპირანტს, რომლის არტიკულაციაც ფუძენახურში არასტაბილური უნდა ყოფილიყო. **შ** ფონემის რყევას ბიძგი მისცა არტიკულაციის

უკან გადაწევის საერთო პროცესმა ფუძენახურში — ს.-ქართვ. ***შტენ-** „შენ, შენი“ : ს.-ნახ. ***ჰონ-** „შენ“; ს.-ქართვ. ***შტატ-** „წყლიანი თოვლი, შვავი“ ს.-ნახ. ***ჰაუტ-** „სინესტე“; ს.-ქართვ. ***შუბ-** „შუბი, შუბლი; წინ“ : ს.-ნახ. ***ბუჰა-** „წვერი“; ს.-ქართვ. ***ლაშტ-** „ბაგე, ტუჩი“ : ს.-ნახ. ***მარლ-** „ცხვირი“; ს.-ქართვ. ***ეშტ-** „ტახი“ : ს.-ნახ. ***არლ-** „ყოჩი, ერკემალი“; ს.-ქართვ. ***ხეშ-** „მოთელვა, მოდრეკა, მოქნა“ : ს.-ნახ. ***კერლ-** „შიში, შედრკომა“; ს.-ქართვ. ***დეშ-ა** „შეშა“ : ს.-ნახ. ***დას-** „შეშა“; ს.-ქართვ. ***შტერ-** „შრობა“ : ს.-ნახ. ***ლესტ-** / ***ლასტ-** „შრობა“; ს.-ქართვ. ***ეშე-** „მოზვერი, ბოჩოლა“ ს.-ნახ. ***ასე-** „ხბო“...

სისინ-შიშინა სიბილანტები

VI თავი

